# საკლასო ოთახებში სწავლა, შესაძლოა, განახლდეს იმ სკოლებში, რომელთა პერსონალის 80 % იქნება აცრილი



**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, სკოლები, რომელთა პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის 80% აცრილი იქნება, შესაძლოა, წახალისებული იყოს და იქ სწავლა საკლასო ოთახებში განახლდეს.**

მისი თქმით, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, რომელიც ორი კვირის წინა პერიოდს მოიცავს, სკოლის პედაგოგების 30% აცრილია, თუმცა განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ეს მაჩვენებელი 40%-მდეა გაზრდილი.

> *„ჩვენი მონაცემი ორი კვირის წინანდელია და გასაგებია, რომ ორი კვირის განმავლობაში შეიძლება შეიცვალა და კარგია, თუ ეს შეიცვალა. სკოლებს იმ შემთხვევაში ვუწოდებდით უსაფრთხოს, თუ აცრილი იქნება 80% მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის, ვინც სკოლაში მუშაობენ და ბავშვებთან შეხება აქვთ. ამიტომ იქ, სადაც 80% იქნება აცრილი, შესაძლებელია და პირიქით — უნდა წავახალისოთ, რომ დაიწყოს დასწრებული სწავლება“, — აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.*

ამასთან, როგორც გამყრელიძე ამბობს, ისეთი ეპიდემიოლოგიური ვითარება თუ იქნება, როგორიც დღესაა, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი საკლასო ოთახებში სწავლის დაწყებასთან

დაკავშირებით რეკომენდაციას ვერ გასცემს.